სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 9 (4568) ● 23 მაისი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

26 მაისი: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

უმთავრესი მიზანი – ჰარმონიული პიროვნების აღზრდა

ღიაა ცივილიზებული დედამიწის კარი

ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა 2003 წელს დაარსდა. 15 წელი. ცოტაა, თუ – ბევრი? გააჩნია, რისთვის. სკოლის ინფრასტრუქტურა რომ მთლიანად უმაღლეს დონეზე ჩამოაყალიბო, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი პროგრესის მძლავრ ნაკადში მოაქციო, ერთხელ აღებული გეზი და სიჩქარე აღარ შეანელო, უფრო და უფრო აუწყო ფეხი მსოფლიო სტანდარტებს, საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირები დაამყარო და აღსაზრდელებს, ფაქტობრივად, მთელი ცივილიზებული დედამიწის კარი გაუღო, 15 წელიწადი ბევრი ვერაფერი დროა, ქართულ-ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ კი ეს შეძლო.

გარემო ისეთი ჯანსაღია – სკოლა წიწვოვან ტყე-პარკში მდებარეობს, რომ თავისთავად გიჩნდება რწმენა – „შიგნითაც“, სკოლაში სწავლისა და აღზრდის ასეთივე ჯანსაღი გარემოა შექმნილი.

ინფრასტრუქტურა მოსწავლეთა ჰარმონიულ აღზრდაზეა გათვლილი: თანამედროვე საკლასო ოთახები, კომპიუტერული და ბუნებისმეტყველების ლაბორატორიები ყმაწვილებისათვის მყარი, საფუძვლიანი ცოდნის მასაღებადაა გამიზნული.

უკომპიუტეროდ თანამედროვეობას ვეღარ წარმოიდგენ, მაგრამ სკოლის მდიდარი ბიბლიოთეკა დამატებითი და მხატვრული ლიტერატურით აღრმავებს, აფართოებს მოსწავლეთა ცოდნას. ყოველმხრივ აღჭურვილი კვების ბლოკი, კვება მოსწავლეთა ასაკობრივი ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები ფიზიკური განვითარებისთვის, თეატრისა და კონფერენციების დარბაზები ესთეტიკური აღზრდისა და ინტელექტუალური დისპუტებისთვის, აი, ყოველივე, რაც მოსწავლეთა ჰარმონიულ აღზრდას განაპირობებს. ამას დავურთოთ, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ეროვნულ ტრადიციებზეა დაფუძნებული, რაც პატრიოტისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და ჰარმონიულობა სრულყოფილ სახეს მიიღებს.

ცხადია, სწავლა-აღზრდის ურთულესსა და უფაქიზეს გზაზე კვლავაც ბევრი სირთულეა, მაგრამ მცოდნე, გამოცდილი პედაგოგების – ყველა სერთიფიცირებულია – ძალისხმევა სწორედ იქითაა მიმართული, რომ აღსაზრდელები მაქსიმალურად მოამზადონ ცხოვრებისათვის როგორც ცოდნით, ასევე – ზნეობით.

სკოლის მიზანიც ხომ ეგაა – აღზარდოს წიგნიერი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული, კომუნიკაბელური და სამშობლოს მოყვარული პიროვნება, ვინც თავის თუნდაც მცირე წვლილს შეიტანს ქვეყნის წინსვლასა და მსოფლიოში მის ინტეგრაციაში.

შედეგი სახეზეა: საატესტატო და გამოსაშვები გამოცდების შედეგებით, კომფერენციებსა და ოლიმპიადებში მოპოვებული წარმატებებით სკოლა მუდმივად ლიდერობს. პირდაპირი ორმხრივი ურთიერთობები სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტთან, წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მტკიცე საწინდარს ქმნის, რომ სკოლის კურსდამთავრებულნი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსებას მოიპოვებენ.

სკოლის ინფრასტრუქტურა, ზემოთქმულთან ერთად, სრულად უზრუნველყოფს ელექტრონულ სწავლებას. I-V კლასების მოსწავლეებს მათემატიკაში ელექტრონული სასწავლო პლატფორმის ათვისების საშუალება აქვთ. პლატფორმა მოიცავს სავარჯიშოებს კლასებისა და თემების მიხედვით; განვლილი თემის გამეორებას ცოდნაში შესაძლო ხარვეზების აღმოსაჩენად; ბოლოს ახსნილი თემის შესატყვის სავარჯიშოებზე მუშაობას; სირთულეებზე კლასებში მუშაობას; ეფექტურ უკუკავშირს.

სკოლის წარმატებების ერთ-ერთი დასტური ისიცაა, რომ იგი TOEFL-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში და საქართველოს სკოლებიდან მხოლოდ მას მიენიჭა ეს ლიცენზია.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კემბრიჯის საერთაშორისო დონის სასერთიფიკატო გამოცდებისთვის მომზადებას. სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეები იღებენ ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატებს.

აღსაზრდელთა წახალისების ასეთი ფორმაცაა: მაღალი აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეები სასწავლო გრანტებს იღებენ, რისი მეშვეობითაც ბევრი მათგანი მოიპოვებს დაფინანსებას.

გერმანული ენის სწავლების დანერგვის შემდეგ სკოლა აქტიურად ჩაერთო პროგრამაში – Studienbrükce Deutshland, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს უფასოდ განაგრძონ სწავლა გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში STEM-ისა და LIBERZAI ARTS-ის მიმართულებებით.

სკოლას სათავეში უდგას ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი **მამუკა მესხიშვილი**. იგი წარმატებით უთავსებს ერთმანეთს ნაყოფიერ – პედაგოგიურსა და მეცნიერულ მუშაობას. უფროსკლასელები მისი ხელმძღვანელობით მუშაობენ საკონფერენციო თემებზე მუდამ წარმატებული რომაა საერთაშორისო ასპარეზზე. 2013 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „სამსაუკუნოვანი პრობლემა“.

მართალია, სკოლის პრიორიტეტი ინგლისური ენისა და მათემატიკის გაძლიერებული სწავლებაა, მაგრამ, ჯამში, მისი უმთავრესი მიზანი, როგორც ზემოთ ითქვა, ჰარმონიული – გონებრივად, ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი პიროვნების აღზრდაა.

კონსტანტინე გურგენიძე

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ნომრის სტუმარი: თბილისის 149-ე საჯარო სკოლა

ასეთია მოწინავე სკოლის ცხოვრება

მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების, განათლებისა და წიგნიერების დონის ამაღლების, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისა და დამკვიდრების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **„ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამას“** ახორციელებს. თბილისის 149-ე საჯარო სკოლა (დირექტორი **ნანა ჯუღელი**) აქტიურად არის ჩართული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროექტებსა და ღონისძიებებში.

2017-18 სასწავლო წელი, ამ მხრივ, მეტად დატვირთული და ხალისიანი იყო. სულ რამდენიმე დღის წინ პედაგოგ **მაია ქსოვრელის** მოსწავლეებმა მამებისადმი მიძღვნილი საღამო მოაწყვეს. სცენიდან საოცარი სითბო და სიყვარული იღვრებოდა. მაყურებელმა კარგად დაინახა, რაოდენ დიდია მამის როლი შვილის აღზრდაში, როგორ სჭირდებათ დამცველი განსაცდელის ჟამს და რომ შვილი ისეთი უნდა გიყვარდეს, როგორიც არის. ამაღელვებელი იყო შვილებისადმი მამების მიმართვაც.

ბოლო ხანებში, განსაკუთრებით გაიზარდა სკოლებში **ბულინგის** პრობლემის აქტუალურობა. იგი ძალადობის საზიანო ფორმაა და სკოლებში პრევენციული პროგრამების შემოღება აუცილებელია. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი მოზარდი გახდეს და სამწუხაროდ, საშინელი შედეგითაც დასრულდეს. **„არა ძალადობას!“** – ამ დევიზით, მე-7-11 კლასის მოსწავლეები (პედაგოგები – **ვერი ბექაური, ეკატერინე ცხვარიაშვილი** და **მარიამ ზაზაძე**), ბულინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს გამოეხმაურნენ. სპეციალისტების მტკიცებით, ბულინგის ნეგატიური ქმედება ბავშვებში ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგი ხდება. მშობელთა ნაწილს უჭირს შვილთან კომუნიკაცია, არ თანამშრომლობს სკოლასთან. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად შეიქმნა **„მშობელთა სკოლა“** (ხელმძღვანელები – სპეც.პედაგოგები **ეკატერინე ცხვარიაშვილი** და **მარიამ ზაზაძე**), სადაც მშობლები ბავშვთა ქცევის თავისებურებებს, მოზარდებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას შეისწავლიან, ჩაუტარდებათ ტრენინგები.

მე-9 კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი **მაია ქსოვრელი**) განახორციელეს პროექტი ინგლისურ ენაში **„3R _ Reduce, Reuse, Recycle – შეამცირე, ხელახლა გამოიყენე, გადაამუშავე.“** გამოუშვეს კედლის გაზეთები, ჩაატარეს პრეზენტაციები, თუ როგორ დაიცვან გარემო და ნარჩენებისგან ორიგინალური ნივთები გააკეთეს.

„აცოცხლე და იცოცხლე!“– 22 აპრილს ამ დევიზით აღნიშნეს დედამიწის დღის, გარემოს დაცვის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც მსოფლიოს გარშემო იმართება. მე-5-6 კლასის მოსწავლეებმა (ხელოვნების პედაგოგი **შორენა მასურაშვილი**), მე-4 კლასელებმა (ხელმძღვანელი **ნანა ლეჟავა**), მე-10 კლასელებმა (პედაგოგი **მაია ქსოვრელი**) საუცხოო კედლის გაზეთები გამოფინეს;

დიდი მიღწევები აქვს სკოლის საფეხბურთო გუნდს, რომელიც საქართველოს მასშტაბით, სკოლებს შორის ჩატარებული შეჯიბრის **„ფუტსალის“** ორგზის გამარჯვებულია და წელს მსოფლიო ჩემპიონატზე, ისრაელში გაემგზავრება.

ცესკო და სწავლების ცენტრი, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახორციელებს საინფორმაციო-სასწავლო კურსს **„არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი,“** რომელიც 80-ზე მეტ სკოლაში განხორციელდა. მე-11-12 კლასის მოსწავლეები გაეცნენ კურსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს და იმიტირებული არჩევნებიც ჩაატარეს.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტში, რომელსაც საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა და მიზნად ისახავს **პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიით** მოსწავლეთა დაინტერესებას. (ისტორიის პედაგოგი **ზურაბ მარეხაშვილი**) ნახევარფინალში, საქართველოს მასშტაბით, 370-მდე სკოლა მონაწილეობდა. საუკეთესო 60 გუნდის ფინალური შეხვედრა კი 21 მაისს გაიმართება და წარმატებები ვუსურვოთ ამ ახალგაზრდებს.

სკოლის ღონისძიებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია დირექტორის მოადგილე **თინიკო გოგრიჭიანი.**

ხალისიანია დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრება: კითხვის კონკურსის გამარჯვებული პატარები სიგელებით დაჯილდოვდნენ (პედაგოგები – **თიკო ოთარაშვილი, ნანა კეკელია, მანანა გურჯია**); საინტერესოდ წარიმართა გაკვეთილები: ბუნებისმეტყველებაში, თემა „როგორ მოძრაობს ჰაერი“ (პედაგოგი **თამო რობაქიძე**); ქართულ ენასა და ლიტერატურაში, – თემა „ასო-ბგერა დ“ (პედაგოგი **ლუდა მერებაშვილი**), თემა „გაზაფხული“ (პედაგოგი **მარინა კბილაშვილი**); ინგლისურ ენაში, თემა „**sea creatures**“ (პედაგოგი **ნანა მირუაშვილი**); მათემატიკაში, თემა **„ამოცანები ზედმეტი მონაცემებით“** (პედაგოგი **თამარ ცალხელიშვილი**).

მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით, ობიექტურად და გამჭვირვალედ მუშაობენ სკოლაში მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი და ფასილიტატორები: **მარინე არევაძე** (ხელოვნება), **ლალი ლაცაბიძე** (დაწყებითი კლასები), **ნინო ბერძნიშვილი** (ბიოლოგია), **ლალი ბიჩინაშვილი** (ქართული), **მაია ქსოვრელი** (ინგლისური), **ელენე ხუციშვილი** (დაწყებითი), **ია ტყემალაძე** (მათემატიკა), **ზურაბ მარეხაშვილი** (ისტორია), **ასმათ ბრეგვაძე** (ბიოლოგია). **მანანო ბერიაშვილი** (მუსიკა). ისინი თანამშრომლობენ მასწავლებლებთან ჯგუფებში, გეგმავენ საგაკვეთილო პროცესს, რაშიც მონაწილეობენ და რეკომენდაციებს აძლევენ კათედრებიც და საბოლოოდ, დასახვეწად შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელთან **მაგული ღვინჯილიასთან** (დირექტორის მოადგილე) და დირექტორთან მიდის.

ერთ საგაზეთო წერილში რთულია ჩამოთვალო ყველა ის პროექტი და ღონისძიება, რომელშიც სასწავლო წლის მანძილზე მონაწილეობდნენ ამ სკოლის მოსწავლეები. ვიმედოვნებთ, ახალ სასწავლო წელს ახალი წარმატებებით შეხვდებიან. გისურვებთ გამარჯვების გზით სიარულს!

ნათია გურგენიძე

ეძიებენ და ჰპოვებენ

მხოლოდ ასეთი გამეორება ცოდნის დედა

ლათინური ანდაზა გვარწმუნებს, გამეორება ცოდნის დედაო. მცირე პერიფრაზით, თუ მავან თემას, დაწესებულებასა თუ უწყებას მიუბრუნდი, საამოდ გვარიანი მიზეზი უნდა გქონდეს. ან – კარგი, ან – ცუდი.

თბილისის 108-ე საჯარო სკოლაში სტუმრობიდან წელიწადზე ცოტა მეტი შემობრუნდა. ახლანდელი სტუმრობის მიზეზი კი სულ ერთი სიტყვით მარტივად გამოისახება – **პროგრესი.**

სათქმელად ადვილია, გასაკეთებლადაა ძნელი, მაგრამ სკოლის შემოქმედებითი კოლექტივი ახერხებს ყოველ ახალ სასწავლო წელს დანერგოს სიახლეები, ხოლო გაკვალულში ეძიოს და იპოვოს ის გზები და საშუალებები, რაც მეტად დახვეწავს, მოსწავლეთათვის უფრო ადვილად აღსაქმელად აქცევს უკვე გამოცდილს. დრომოჭმული არაფერია, პედაგოგებს ძალუძთ ისე მოარგონ განვლილი და განცდილი სასწავლო პროცესს, ისე მიიტანონ აღსაზრდელებამდე, რომ სიახლის განცდა არ განელდეს, თითქოსდა მრავალჯერ გამეორებულს მოუნახონ განსხვავებული თვალთახედვა, მიდგომა. სწორედ ეს განაპირობებს წინსვლას; ამაშია ჩაქსოვილი მთელი კოლექტივის შემოქმედება.

ასე მუშაობენ პედაგოგები: **თამარ გალეგაშვილი, იზოლდა ბარამია, ხათუნა გორაშვილი, თამუნა ვალიშვილი, მაია თაბუაშვილი, მერი მესხიშვილი, ლელა მირზაშვილი, თინათინ წიკლაური, მადონა წულუკიძე, ნანა ცხვედიანი, ეკატერინე ბითაძე, ირმა ათაბეგაშვილი, სოფიკო ბაქუზანაშვილი, ზანდა მაგრაქველიძე, ნინო უბირია, მარინე ყუშიტაშვილი, ნელი ჩხიკვაძე, მანანა დამენია, ხათუნა ქოჩორაშვილი, ეკა ახალაია, ხათუნა ბეგიაშვილი, ლალი გამეზარდაშვილი, მზია გიგაური, ნანა ზაზანაშვილი, ნანა ლაცეზბაია, ირინე მარკოზაშვილი, ხათუნა ფიცხელაური, ნანა ქირია, თეა ქრისტესიაშვილი, ლია ჭეფხოძე, ინგული ამირანაშვილი, ნინო არობელიძე, მარიამ ბლიაძე, შალვა გაფრინდაშვილი, თეა დოლიძე, ლაურა ესაძე, ასმათ ვასაძე, ნანა ვეშაპიძე, მანანა ზივზივაძე, მაია თურმანიძე, თამარ ლობჟანიძე, თეა მაისაია, ნუგზარ მაღრაძე, სალომე რაზმაძე, ევგენია საიდოიანი, ლარისა სარქისიანი, ლალი სურმავა, ქეთევან ტურიაშვილი, ნინო ქევხიშვილი, გია ქისიშვილი, მაია ღლონტი, მაკა შუღლიაშვილი, მარინა ჭიკაძე, თეა ხმალაძე, ფიქრია ჯაბანიშვილი, ნინო ჯანიაშვილი.**

პედაგოგებმა რომ ასე შეწყობილად, მიზანმიმართულად იმუშაონ, გამოცდილება გაუზიარონ ურთიერთს, საგნობრივმა კათედრებმა უნდა მოიცვან მთელი კოლექტივის გუნდური და ინდივიდუალური შემოქმედება. 108-ე სკოლაში სწორედ ასეა. დაწყებითი განათლების (ხელმძღვანელი – **თამარ გალეგაშვილი**), ქართული ენისა და ლიტერატურის **(თეა მაისაია)**, მათემატიკის **(ნინო ჯანიაშვილი)**, საზოგადოებრივ მეცნიერებათა **(მანანა ზაზანაშვილი)**, ბუნებისმეტყველების **(ნანა ლაცუზბაია)**, ესთეტიკისა და სპორტის **(ნანა ვეშაპიძე)** კათედრები, სწავლების ხარისხის განუხრელად გაუმჯობესების მიზნით, ტრადიციულთან ერთად, ხელმძღვანელობენ ზეპირ და წერით გამოკითხვებს, ტესტირებებს საგნების მიხედვით, დამატებით მეცადინეობებს, სტანდარტული, ინტეგრირებული და პრობლემებზე ორიენტირებული გაკვეთილების ჩატარებას, სასწავლო-შემეცნებით ექკურსიებს, რაც მოსწავლეთა – შიდა და სკოლის გარეშე აქტივობას განაპირობებს.

ცხადია, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, პედაგოგთა საქმიანობა, უპირველესად, დირექციის ხელმძღვანელობით წარიმართება. გამოცდილი პედაგოგი და კარგი ორგანიზატორი, დირექტორის მოადგილე ქალბატონი **ნინო არობელიძე** უნარიანად უძღვება ამ საქმეს.

სკოლას პროფესიონალი პედაგოგი, ქალბატონი **მაია მღვდელაძე** უდგას სათავეში. პროფესიონალია ჯერ განათლებით – მაშინდელი სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა; პროფესიონალია განვლილი გზით – უმაღლესის დამთავრებისთანავე პიონერხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა თბილისის 152-ე სკოლაში, შემდეგ – 88-ე სკოლის დირექტორის მოადგილეა, ჯერ – აღმზრდელობით, მერე – სასწავლო დარგებში. ბოლოს კი იმავე სკოლის დირექტორად დანიშნეს.

ჩავუკვირდეთ, რა სწრაფი წინსვლაა. იყო დრო, ასეთ პასუხსაგებ თანამდებობებზე ჰაიჰარად ძნელად რომ დაენიშნათ ვინმე. რაოდენი ცოდნა, მონდომება, მისწრაფება, პედაგოგიური ნიჭი უნდა ჰქონოდა ახალგაზრდა სპეციალისტს, რომ ასე სწრაფად ასულიყო, სრულიად დამსახურებულად, კარიერის კიბეზე. ამიტომაცაა იგი პროფესიონალი განვლილი გზით. 2014 წლიდან კი ქალბატონი მაია 108-ე საჯარო სკოლის დირექტორია.

სახელდობრ, როგორ ვლინდება მისი პროფესიონალიზმი სკოლის მუშაობაში, როგორ

მუშაობს სკოლის პედაგოგთა კოლექტივი. მიღწევა ბევრია. ამიტომ, საგაზეთო სივრცის სიმცირის გამო, თითქმის თეზისურად ჩამოვთვლით, ოღონდ თვალშისაცემია, რაოდენ მრავალმხრივი, შემოქმედებითი და გამიზნულია პედაგოგთა მიდგომა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმართ.

მედალოსნები: ოქრო – **მარიამ ალადოშვილი, მარიამ გაფრინდაშვილი, მირიან მირიანაშვილი;** ვერცხლი – **ლია ყველაშვილი.**

მოსწავლეები აქტიურად, წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში. სახელდობრ, **„კინგსისა“** და **„სმარტის“** ოლიმპიადებში **ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ინგლისურსა** და **ლოგიკაში.**

სკოლაში ცდილობენ არა მხოლოდ – მცოდნე, არამედ მოქალაქეებად, ზნეკეთილ პიროვნებებად აღზარდონ ყმაწვილები. ისეთებად, მოყვასის ტკივილის გაზიარების, თანადგომისა და თანალმობის უნარი რომ შესწევთ და წინ აღუდგებიან ძალადობას, დაიცავენ სუსტს. პირველიდან ათი მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა კონკურსი – **„ნაბიჯი თანადგომისკენ“,** რაც **ბულინგის** ანუ **ძალადობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული** (I-XII კლასები, ანუ მთელი სკოლა). მოსწავლეებმა წარმოადგინეს ვიდეორგოლი, მოიგონეს სლოგანი, გამოუშვეს კედლის გაზეთი. ძალადობის საწინააღმდეგო დღეც აღინიშნა: გაიმართა თემატური ნახატებისა და პლაკატების გამოფენა, შეიქმნა ვიდეორგოლი; კლასის საათი **„არა ძალადობას“** და დისკუსია თემაზე **„ერთიანობა მრავალფერეოვნებაშია“.** აღინიშნა აუტიზმისა და დაუნის სინდრომის დღეები. როცა ასეთი მიდგომაა ამ პრობლემების მიმართ, ცხადია, როგორი ყურადღება ექცევა სკოლაში სპეციალური განათლების საჭიროების 24 ყმაწვილს. სპეცპედაგოგები: **სოფიკო ცირგაია, მარი ბარნაბიშვილი** და **ეთერ ტაგანაშვილი** დირექციასთან, კლასების ხელმძღვანელებთან და მშობლებთან ერთად, მართლაც სპეციალურად უდგებიან ასეთ

ბავშვებს და ამ სპეციალურში დიდი მოთმინება, ცოდნა, პედაგოგიური ტაქტი იგულისხმება.

რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო, ეს ძირფესვიანად აქვთ შეგრძნობილი 108-ე სკოლის პედაგოგებს და ამიტომ იყო ასე მიზანმიმართული დედაენის დღე. მოსწავლეებს მოუთხრეს, როგორ დაიცვა ქართველობამ მშობლიური ენა 1978 წლის 14 აპრილს. **„ქართული ენა უკვდავია“** – ამ ლოზუნგით წარიმართა მთელი ღონისძიება.

მანამდე კი 9 აპრილი აღინიშნა. მოსწავლეები დარწმუნდნენ, რომ გმირები მხოლოდ ისტორიის ღრმა წიაღში არა ჰყავდა მათ სამშობლოს, არამედ სულ ცოტა ხნის წინათაც დადეს თავი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ხელშესახები კი სამუდამოდ აჩნდება ყმაწვილების სულსა და გულს. ასე ყალიბდება პატრიოტიზმი. ოღონდ, სკოლაში ეს ცნება მხოლოდ სამშობლოს სიყვარულად არ ესმით. ჩვენ ხომ პლანეტა დედამიწის მკვიდრნი ვართ. დედამიწაა ჩვენი სახლი და ყოველი ჩვენგანის ვალია მოვუაროთ მას. აი, ამ სულისკვეთებით წარიმართა 108-ე სკოლაში **„დედამიწის დღე“,** რომელსაც 176 ქვეყანაში აღნიშნავენ. გაიმართა მინი ლექციები; ნახეს ფილმები ეკოლოგიასა და გარემოს დაცვაზე; მოისმინეს მუსიკალური კომპოზიციები; გაიმართა კედლის გაზეთებისა და მაკეტების კონკურსი; დაიწერა ესეები; დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები; დასუფთავდა სკოლის ეზოგარემო; დაირგო ხეები... ცესკოს მიერ იმიტირებული არჩევნებიც გაიმართა. ყოველივე ეს კი, როგორც ითქვა, პატრიოტად და მოქალაქედ ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მოსწავლის ჰარმონიული აღზრდა ესთეტიკასა და სპორტსაც გულისხმობს. მრავალთაგან რამდენიმეს აღვნიშნავ: თეატრის დღეს უფროსკლასელებმა უმცროსებს მოუთხრეს თეატრის შესახებ, პატარებმა კი ლექსებით, ცეკვითა და სიმღერებით გაახალისეს უფროსი მეგობრები. ესთეტიკა – ესთეტიკად, მაგრამ ხომ დიდებული მეთოდია უფროს-უმცროსების დასაახლოებლად? სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი **„აისი“** თურქეთის ქალაქ იზმითში გამართულ ფესტივალში მონაწილეობდა. მუდმივად იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამას წინათაც მოსინჯეს ძალები ფრენბურთსა და მინიფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. ფრენბურთში X^ბ კლასმა გაიმარჯვა. მომდევნო ადგილები X^ა და XI^ბ კლასებს ერგოთ; მინი ფეხბურთში პირველი VIII^ა კლასი იყო; შემდეგ – VII^ბ და VII^ბ კლასები; ჩოგბურთში კი **დავით ქურციკაშვილმა, დავით ჩერტყოშვილმა** და **დაჩი ბარამაძემ** იმარჯვეს.

წერილი ლათინური ანდაზით დავიწყე, გამეორება ცოდნის დედაო. დიახ, ბატონო, მართალია, მაგრამ ხომ უმჯობესია, ერთი და იგივე კი არ ღეჭო, არამედ, სპირალივით ზეაღმავალი, ანუ ყოველი დღე სიახლის ძიებაში იყო და, როგორც ითქვა, გამეორებაშიც ეძიო და ჰპოვო სიახლის მარცვლები?

ასეა ეს 108-ე საჯარო სკოლაში. ამიტომ ვესტუმრეთ მას წლისთავზე.

კონსტანტინე გურგენიძე

მე და საქართველო

დედამიწის ძეგლზე აკაშკაშებული ვარსკვლავები

ასტრონომებმა, გაფაციცებული რომ ეძებენ კოსმოსში ახალ პლანეტებს, ვარსკვლავებს, კომეტებსა თუ ასტეროიდებს, თბილისის მე-14 საჯარო სკოლაში რომ შეიხედონ, უტელესკოპოდ აღმოაჩენენ ერთბაშად 21 ვარსკვლავს: ისინი ფოიეში, დიდრონ პანოზე გამოსახულ დედამიწის ძეგლს დაჰნათიან. ზოგი „ოქროსია“, ზოგიც – „ვერცხლის“. ოთხი ოქროსა და ერთი ვერცხლის ვარსკვლავი შარშან შეემატა „თანამოძმეებს“: **ლიკა ხარებაშვილის, ნატა სადუნიშვილის, მარიამ ჯოხაძისა და თათია მაისურაძის** ოქროს **ვიქტორ კუხიანიძის** ვერცხლი დაერთო. **„მე და საქართველო“** ასე ჰქვია ამ კომპოზიციას.

ცხადია, მიხვდით: ასე მიაგო პატივი სკოლამ თავის მედალოსნებს. თითქოს წვრილმანია, მაგრამ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაში წვრილმანი არაფერია! სწორედ წვრილმანად მიჩნეული შემოგვიბრუნდება ხოლმე ძალზე მსხვილმან პრობლემად. პირიქით, წახალისების, ყმაწვილების გარჯის დაფასების ძალზე ღირსეული და ქმედითი ხერხია. რამდენს მოუნდება ასევე „გავარსკვლავება“, ვიდრე სკოლა იმოქმედებს?

„მე და საქართველო“. დიდებულად გააზრებიათ: ყოველი მედალოსანი სამშობლოსთან აიგივებს თავს და ეს ამპარტავნება სულაც არ გახლავთ – ქვეყნის მსახურებას, ცოდნითა და ზნეობით მის წინსვლაში თუნდაც ციცქნა წვლილის შეტანას ნიშნავს.

ამ სასწავლო წლის ბოლოს „ვარსკვლავედი“ ოქროს შვიდი ვარსკვლავით შეივსება – პედაგოგთა ალღო და გამოცდილება, ყმაწვილების სიბეჯითე მტკიცე საწინდარია, რომ სწორედ ასე იქნება.

სიპზე ნერგს ვერ ახარებ, ნარი ლეღვს არ მოისხამს, შენობას ზემოდან ვერ დაიწყებ, ანუ საფუძვლის, საძირკვლის გარეშე უცებ, ტაშის შემოკვრით წარმატება არ მოდის: 1952 წელს დაარსებულ სკოლაში მრავალი ღვაწლმოსილი პედაგოგი მოღვაწეობდა, მრავალი სახელოვანი მეცნიერი, შემოქმედი, სახელმწიფო მოხელე, სპორტსმენი, მცოდნე, ქვეყნის მოყვარული და მისი მოამაგე ადამიანი აღზრდილა.

ამ სახელოვან ტრადიციებს წარმატებით განაგრძობს მე-14 საჯარო სკოლის 51-ვე პედაგოგი, რომელთაგანაც – 29 უფროსი მასწავლებელია.

გამართულად, ურთიერთშეთანხმებულად, მიზნობრივად მუშაობს საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **ხათუნა ებანოიძე**); მათემატიკისა (**ლალი სიაშვილი**); უცხო ენებისა (**ლია ხუციშვილი**); საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**ნუნუ ალულიშვილი**); საბუნებისმეტყველო (**მაია აფხაზავა**); ესთეტიკური აღზრდისა (**ლეილა გოქაძე**); დაწყებითისა (**ქრისტინე კამლაძე**).

უნარიანად უძღვება ორგანიზატორულსა და შემოქმედებით საკითხებს დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **მაია ლომიძე**.

სკოლას პროფესიონალი – ქალბატონი **მაკა გორგაძე** ხელმძღვანელობს. მან 1998 წელს დაამთავრა მაშინდელი სულხან-საბას სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკულტეტი; შემდეგ – თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი. მასწავლებლად მუშაობდა 154-ე სკოლაში; იყო 148-ე სკოლის დირექტორი. 2010 წლიდან კი მე-14 სკოლას უდგას სათავეში.

მცირე საგაზეთო წერილში შეუძლებელია სკოლის მრავალმხრივი მუშაობის წარმოჩენა. ამიტომ ამჯერად, ძირითადად, თავისებურებებზე, აქტივობებსა და პროექტებზე მოგახსენებთ.

ჩინური და ფრანგული ენები ბაღებშიც ისწავლება და დამატებითაც – უფასოდ. საფრანგეთის საელჩოსთან შესაბამისი მემორანდუმია გაფორმებული. მოსწავლე **მარიანა მატარიძემ** გაიმარჯვა კონკურსში „რა ვიცით ჩინეთის შესახებ“ და ამ ქვეყნის საელჩომ ლეპტოპით დააჯილდოვა. **ლიკა ხიზანიშვილმა** მრავალჯერ გაიმარჯვა ფრანგული ენის რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. იგი მარსელის უნივერსიტეტში გაივლის პროგრამას „ბაკალავრი – საფრანგეთში“.

როგორიც პედაგოგია, აღსაზრდელიც ისეთიო. ფრანგული ენის პედაგოგთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარდგენილმა ქალბატონ **ნინო წოწკლაურის** მოხსენებამ პირველი ადგილი დაიკავა; ფრანგულად დაიდგა სპექტაკლი „ბეტონის ყვავილები“. მას საფრანგეთის ელჩი და ფრანგული ენის ინსტიტუტის მუშაკები დაესწრნენ.

საბაზო საფეხურზე (IX კლასი) პროექტში „ჩემი პირველი კომპიუტერი“ **თამთა მაზანაშვილმა, ქეთევან ბალანჩივაძემ, ნინო მერაბიშვილმა, გვანცა ძამუკაშვილმა და ივანე ქავთარაძემ** დაიმსახურეს თავისი პირველი კომპიუტერები.

იმართება თავისუფალი გაკვეთილები – „ბუნება ჩვენს გარშემო“ (პედაგოგი – **მანანა უსენაშვილი**); შემეცნებითი ექსკურსიები; ქართულ-ქისტური ურთიერთობების მოტივით (**ხათუნა ებანოიძე**) პანკისის ხეობაში ესტუმრნენ დუისის საჯარო სკოლას. სკოლა ჩართულია Gpvaid-ის, ბულინგისა და ინკლუზიური განათლების პროექტებში, მართავს სათანადო ღონისძიებებს. მოქმედებს ეკოკლუბი. თეატრალურმა სტუდია „ათინათმა“ ოთხჯერ გაიმარჯვა ზღაპრების რესპუბლიკურ კონკურსში. სკოლა წარმატებით მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის კონკურსში, სადაც აქაურმა აღსაზრდელებმა თავისი დამზადებული თოჯინები წარადგინეს. იმიტირებული სასამართლოს სწორად წარმართვისათვის სერთიფიკატები გადაეცათ. ხშირია შიდასასკოლო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, იმართება თემატური კონფერენციები.

აი, ძალზე მოკლედ, ლამის თეზისურად, ზემოშეპირებული თავისებურებანი, აქტივობები თუ პროექტები. მე-14 სკოლის შემოქმედებითი კოლექტივი მიღწეულს არ დასჯერდება და კიდევ მრავალ ვარსკვლავს ააკაშკაშებს დედამიწის ძეგლის ფონზე დევიზით: „მე და საქართველო“.

ეკატერინე სარალიძე

137-ე საჯარო – გარეუბნის სკოლებს შორის მოწინავეა

მაღალი შედეგებისკენ თვალი უჭირავთ

მინისტრის ახალ ინიციატივებს გამოეხმაურონ, ახლახან წარმოდგენილი თორმეტპუნქტიანი პროექტების ცხოვრებაში გატარებისთვის იზრუნონ.

წყნეთს მაია წყნეთელის ძეგლი უხდება, მაგრამ უფრო ცოდნის ტაძარი – 137-ე საჯარო სკოლა ამშვენებს. მდიდარი ტრადიციების სკოლას სახელოვანი ისტორია აქვს. ამაზე უფრო ვრცლად სხვა დროს, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შეგვიძლია ვისაუბროთ. ამჯერად კი დღევანდელობას დავუბრუნდეთ.

არც ისე დიდი ხანია წყნეთის სკოლა დედაქალაქის ვაკე-საბურთალოს რაიონს შემოუერთეს. სწრაფად შეეგუა იგი ახალ ვითარებას, მალე აუწყო ფეხი მოწინავე სკოლების გამოცდილებას და თავად გახდა მოწინავე. ეს იმიტომ მოხდა, რომ აქ, ტრადიციულად ძლიერი, გატაცებით მოღვაწე პედაგოგები დომინირებენ. აქ მზად არიან თანამედროვე მოთხოვნებს მიაყურადონ, განათლების ახალი

სასწავლო წელი დასასრულს მიუახლოვდა. დირექციის, პედაგოგების ზემოთქმული მისწრაფება მიღწეული შედეგიდანაც ჩანს. ჩვენ არ გვეძლევა საშუალება კონკრეტიკას ჩავუღრმავდეთ, მაგრამ ზოგიერთ ცნობას მაინც მოგაწვდით.

სკოლას გამოცდილი, ერუდირებული, ენერგიული, შემოქმედი ხელმძღვანელი უძღვება. თბილისის მე-10 სკოლის აღზრდილი, ისტორიის სპეციალისტი 2012 წლიდან სერთიფიცირებული, სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი **ირმა ზარდიაშვილი** დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას. მისი ინიციატივით, მოადგილეების: ინგლისური ენის ჩინებული პედაგოგის **ნათია თათულაშვილის,** ქართულის ბრწყინვალე მასწავლებლის **ქრისტინე წენგუაშვილის** აქტიურად მხარში დგომით, ძლიერი პედაგოგების ღვაწლით შექმნილი სიკეთე აშკარად ეტყობა სკოლას: მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, რაც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის ერთ-ერთი პირობაა. 45 წლის წინათ შეიქმნა სახელოვანი სკოლის ისტორიის არქივი. ასეთი რამ ბევრ დიდ სკოლასაც არა აქვს.

აქ მუდამ სწორად იყო გაგებული ერთი ბრძენკაცის ფორმულა **„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“** დიახ, ძლიერი მასწავლებლის გარეშე ცოდნის მაღალი ხარისხი მიღწეული არასოდეს ყოფილა. 51 პედაგოგიდან 21 უფროსი მასწავლებელია.

სწავლა-აღზრდის მაღალი ხარისხის მისაღწევად ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელიც არის სკოლაში მეთოდიკური საქმიანობის შტაბი. მათემატიკის ენით თუ ვიტყვით, კადრების მოქნილი მუშაობა პირდაპირპროპორციულია წარმატებული შედეგებისა, აქ ყოველ კათედრას გამოცდილი, მაღალპროფესიონალის ხელი მართავს.

დამამთავრებელ კლასს, რომელსაც ჩინებული პედაგოგი და აღმზრდელი **თამარ მამუკაშვილი** ხელმძღვანელობს, ერთი ოქროს და სამი ვერცხლის

მედლის კანდიდატი ჰყავს. ვუსურვებთ მათ გამარჯვებას!

თანამედროვე გამოწვევების ფონზე აღმზრდელობით მუშაობას, ახალგაზრდების სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში (ოლიმპიადები, კონკურსები, სპორტი, ხელოვნება) მასობრივად ჩართულობა-აქტივობებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ წარმატებები სახეზეა. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ყველაფრის ჩამოთვლა, მაგრამ რამდენიმე მათგანი მაინც უნდა აღვნიშნოთ: სკოლას **„ეტალონში“** პირველი ეტაპის 11 გამარჯვებული ჰყავს. დიდი ხალისით არიან ჩართული მოზარდები ჭადრაკის წრეში. მეტად პოპულარულია ცეკვის წრე. მადლობა უნდა ვუთხრათ ჩინებულ ფილოლოგს გამოცდილ ბიბლიოთეკარს **მაყვალა სომხიშვილს.** რისთვის? ჯერ ერთი, იმისთვის რომ 40 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის და მეორე, მოსწავლეების წიგნის კითხვით დაინტერესებისთვის, მათში წიგნის სიყვარულის აღზრდისათვის. კომპიუტერისგან დაჩაგრული წიგნის, გაზეთის, ჟურნალისთვის ღირსების დაბრუნებისთვის. გალაკტიონი იტყოდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დამრჩა დაულეველიო“. ჩვენც ბევრი რამ კარგი დაგვრჩა სათქმელი წყნეთელ პედაგოგებსა და მოსწავლეებზე. შემდეგისთვის იყოს!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

P.S. რედაქტორის მინაწერი: პარასკევს, როგორც ყველა სკოლაში, აქაც მეთორმეტეკლასელთა საერთო სიხარული და აღტაცება სუფევდა, რომელსაც თან „განშორების მსუბუქი ცრემლიც“ ახლდა. დაირეკა ბოლო ზარი. ჩვენი რედაქცია ცხოვრების დიდი გზის დაწყებას დაგილოცავთ, სკოლადამთავრებულნო! გამარჯვებები იყოს თქვენი თანამგზავრი!

ახალ წიგნში შესატანი ლექსები

ნაირა ნიჟარაძე

მალე ნაირა ნიჟარაძის ახალი პოეტური კრებული **„არ დაადუმო კალამი“** იხილავს დღის სინათლეს. პოეტი მეოცე საუკუნიდან მოდის თავისი განუმეორებელი მხატვრული სინატიფით, რომანტიკით. წიგნი იქნება ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისა. წინასწარ გთავაზობთ ამ კრებულში შესატან თუ უკვე შეტანილ ხუთ ლექსს.

***

არავინ წამართვას

შეიცვალა ამინდი,
მოიხურა ნაბადი,
მდინარისკენ დაიძრა
ნაკადულის ნაკადი.
მოაღწიეს წვიმებმა,
მთების ზედახორამდე,
აღაღანდა ჭინჭარი,
სოკოებიც მომრავლდნენ.
გაზაფხულო, კარგი ხარ,
ჭინჭველასაც არგიხარ,
სიცოცხლე ხარ, თბილი ხარ,
ვარდ-ყვავილთა ლხინი ხარ.
გამობრწყინდი, ამინდო,
ცოტა უნდა დამინდო,
ცოტა წავიანკესო,
სიმინდებიც დავთესო!
გაიხარებს ბეღურა,
გვეწვევიან მერცხლები,
მერე რა, რომ ვბერდები,
და რომ შევივერცხლები.
ოღონდ არვინ წამართვას,
ჩემი მიწა ქართული,
ოღონდ მზე არ ჩაგვიქრეს
მოჩახჩახ-მომართული!

მუდამ მოუყლელობა

ჰაუ, მესტუმრა მუზა,
მინდა დავწერო ლექსი,
უცებ იყეფა ძაღლმა
იქვე ბავშვის ხმაც მესმის.
დღე მერცხალივით მიქრის,
ხან წვიმის წვეთი მესხმის,
ვრგავ ჩითილებს და ბინდში,
სადღაც მიფრინავს ლექსი.
საკენკს წიწილებს ვუყრი,
მართობს ვარდების ეშხი,
სათიბისაკენ მივრბი,
სქელ ბალახების ტევრში.
ვიღებ კალამს და ვფიქრობ,
შევძლო მიგნება ახლის,
მაგრამ ვერ ვასწრებ სადილს,
სულ ჩამეშუშა ხახვი.
ვცდილობ ცხოვრების ტრიალს,
არ მოვუდრიკო ქედი,
მძიმეა ტვირთი ქალის,
შემოქმედის და დედის!

დაგჭირდებათ ილეთი

თქვენ გინახავთ ცხრა ძმის ქუჩა,
იქვე სამურზაყანო?
თუ წვიმაში მოხვდით ურჩად
ფარ-ხმალი არ დაყაროთ!
თან ატარეთ წვიმის ჩექმა,
დაგჭირდებათ ილეთი.
მთელი ქუჩა წყალს მიაქვს და
ტოპავს, ტოპავს მილეთი.

ვიყო, მოვა

ვარდისფერი კატები,
ძაღლიც მოწყენილია,
გარეთ წვიმის წვეთები,
ცეკვავენ და ტირიან.
ფოთლებს გადამაფერებს,
მხრებგაშლილი ვიოლა,
ვიცი, ამ მთის ბილიკებს
გადავირბენ იოლად.
არც მგლის მგლურსა თარეშსა
აღარ ვუფრთხი ჟინიანს,
ვიცი, მოვა სიკვდილი,
სულაც არ მეშინია!

პედაგოგთა ხარისხი უდრის სწავლების ხარისხს

მრავალფეროვანი და მრავალბილიკიანი გზა



35-ზე მეტი ღონისძიება ერთ სემესტრში: პრიორიტეტები, აქტივობები, ინტეგრირებული გაკვეთილები, შემეცნებითი ექსკურსიები, პრეზენტაციები...

თანაც, ზოგი დელტასავით იტოტება მონათესავე თემებად და ბოლოს მთლიანდება. თვალში საცემია: ყოველ ღონისძიებას კონკრეტული მიზანი დაუსახავს. სასწავლო-აღმზრდელობით გეგმასთან სრულ შესატყვისობაშია და მეტიც დაუსახავს – სახელმძღვანელოების მიღმაც ასწავლოს, შეამეცნოს მოსწავლეებს.

ექსკურსიები მთაწმინდის პანთეონში, ბოტანიკურ ბაღში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, რუსთავში, ზოოლოგიის მუზეუმში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ცისფერ გალერეაში...

ხომ ცხადია, როგორ გაამდიდრებს, როგორ გააცოცხლებს ასეთი ექსკურსიები შესასწავლ თემატიკას, როგორ გააქტიურებს ყმაწვილების წარმოსახვის უნარს, გაახალისებს მათ.

ამას კარავაჯოსა და ბოტიჩელის შემოქმედების გაცნობა, კონსერვატორიაში კლასიკური მუსიკის კონცერტებზე დასწრებაც დავურთოთ და ნათლად წარმოჩნდება, რომ თბილისის 75-ე საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჰარმონიულად, მრავალმხრივ აღზრდას ცდილობენ და აღწევენ კიდეც ამას.

ეს უფრო სარწმუნო შეიქნება, როცა ზემოთქმულს შევავსებთ: დასწრება ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ

მაყურებელთა თეატრში სპექტაკლებზე: „ემილის თავგადასავალი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „სამეფო ძროხა“, „მგზავრის წერილები“, „საუკუნის მკვლელობა“.

პედაგოგებმა კარგად უწყიან, რომ სცენაზე გაცოცხლებული ლიტერატურული ნაწარმოებები ძალზე ცხოვლად ზემოქმედებს ადამიანის სულსა და გულზე. დიდებული აღმზრდელობითი ხერხია – ყმაწვილები გაცილებით მწვავედ აღიქვამენ შვლის ნუკრის საცოდაობას, გაცილებით მძაფრად განიცდიან სამშობლოს ხვედრს „მგზავრის წერილებიდან“ და საუკუნის მკვლელობიდან. ეს კი მათ პატრიოტებად, მოქალაქეებად ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ამასვე ემსახურება პროექტები: ცხოველთა მრავალფეროვნება, ტყე ბუნების საგანძურია, ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა; მონაწილეობა ძალადობის საწინააღმდეგო კონკურსში „ნაბიჯი თანადგომისკენ“, სამოქალაქო განათლების პროგრამაში „მომავლის თაობა“, რაც ორგანიზაცია PH international-მა განახორციელა. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ ამ პროექტის მცირე გრანტების კონკურსში სკოლამ წარადგინა პროექტი: „ჯანსაღი ცხოვრება – ჯანსაღი მომავალი“ და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

როცა ასეთ პროექტს წარადგენ, იგულისხმება, რომ სკოლაშიც ჯანსაღი ცხოვრების წესს ამკვიდრებენ, რასაც ძალზე უწყობს ხელს სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. განსაკუთრებულად აღინიშნა დედაენის დღე: მხატვრული კითხვა, ესეების კონკურსი, ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მიწვევა. ამას მთელი კვირეული მიუძღვნეს.

აი, ესაა ზემონახსენები დელტა – ასე იტოტება, ასე მრავალფეროვანი და მრავალბილიკიანია გზა, რასაც, საბოლოოდ, 75-ე სკოლის აღსაზრდელები ჰარმონიულ აღზრდასთან და ქვეყნის მსახურებასთან მიჰყავს.

აუცილებლად გასათვალისწინებელია თითოეული პედაგოგის რაოდენი შემოქმედებითი შრომა, რუდუნებაა ყოველი ასეთი ღონისძიების მიღმა.

სკოლაში ერთად სწავლობენ ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი, იეზიდი, თურქი (ერთი იტალიელიცაა) ყმაწვილები. მათ ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთშემწყნარებლობის სულისკვეთებით ზრდიან. ადრე ამას ინტერნაციონალური აღზრდა ერქვა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ სკოლაში უპირველეს ყურადღებას ხარისხს აქცევენ. სწორედ პედკოლექტივის პასუხისმგებლობის გაძლიერებულ გრძნობას უნდა მიეწეროს, რომ ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა სიუხვე არაა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ 260-მდე მოსწავლეა, მათი არც ნაკლებობაა.

სკოლის სათავეში გამოცდილი პედაგოგი, ჩინებული ორგანიზატორი – ქალბატონი **ინგა დალაქიშვილი** უდგას. მან 1986 წელს დაამთავრა მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თბილისის 30-ე სკოლაში. შემდეგ – 79-ე სკოლის დირექტორის მოადგილედ. 2014 წელს კი 75-ე სკოლის დირექტორად აირჩიეს. ანუ, უდავოა, ადამიანი თავის ადგილზეა განათლებით, მუშაობის გამოცდილებითა და უმთავრესით – პედაგოგიური მრწამსით.

გამოცდილ შემოქმედ დირექტორს ასევე გამოცდილი, საქმეზე შეყვარებული კოლეგები უდგანან გვერდზე – 23 პედაგოგიდან 70% უფროსი მასწავლებელია. პედაგოგთა ხარისხი კი სწავლების ხარისხს განაპირობებს.

ცხადია, ბევრის თქმა შეძლებდა საგნობრივი კათედრების მუშაობაზე, უსაფრთხო გარემოზე, მოსწავლეთა თვითმმართველობაზე, მშობლებთან მჭიდრო ურთიერთობაზე, მოსწავლეთა მონაწილეობაზე სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში... მაგრამ ამჯერად სკოლის მართლაც წარმატებული მუშაობის ზემოაღწერილი მხარე წამოვწიეთ. მომავალში შევეცდებით უფრო სრულად მოვიცვათ 75-ე სკოლის მრავალმხრივი მუშაობის ყველა ასპექტი. მით უფრო, რომ სათქმელი აუცილებლად ბევრი გვექნება.

მარიამ ხატიაშვილი

ზნეობისკენ მიმავალი ბილიკები

გარეკულტურად გარდაქმნილი შიდა კულტურა

ბოლო ხანს საჯარო სკოლების მოსწავლეებში დანების ტრიალი რომ გახშირდა, რამაც სიცოცხლეები შეიწირა, ჩვენი ყოჩაღი ტელევიზიები უქმად როგორ დადგებოდნენ და, თითქოს დასწრებაზეაო, პედაგოგიკის, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის ინჩიბინჩის არმცოდნე ე. წ. წამყვანებმა შელალეს და შელალეს თავისნაირნი სტუდიებში. იმდენ სისულელეს აბრეხვებდნენ სახალხოდ ეს პატივსცემულნი გვამნი, რა ჩამოთვლის! თანაც, ჭკვიანური სახეებით.

ერთი ეგზალტირებული ქალბატონი კი, **„იმედის“** ეთერში პირზე ქაფმომდგარი გაჰკიოდა, სკოლებში ზედამხედველობა უნდა გამკაცრდეს, მოსწავლეები გაიჩხრიკონო (ალბათ, შაშკინის დროინდელ სკოლებში დამყარებული პოლიციური რეჟიმი მოენატრა). ამაზე სხვა ტელეკომპანიებშიც იყო გაგანია კამათი და ამ **„ავტორიტეტთაგან“** არც ერთს არ მოსვლია აზრად ძალზე მარტივი რამ – ჩამოართმევ ერთ დანას, მეორეს ჩაიდებს. დანის ჩადების სურვილი უნდა აღმოუფხვრა ყმაწვილს (თორემ, რამდენჯერაც ჩამოართმევ, იმდენჯერ ჩაიდებს). ეს კი წმინდა ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული აღზრდით მიიღწევა ოჯახებში, ბაგა-ბაღებში, სკოლებში.

ვასილ სუხომლინსკისათვის უკითხავს ახალგაზრდა წყვილს, როდიდან დავიწყოთ ბავშვის აღზრდაო. რამდენი წლისაა თქვენი შვილიო, დაინტერესებულა დიდი პედაგოგი. სამისო. ჰოდა, სამი წლით დაგგვიანებიათო, მიუგია მაესტროს. მართლაც, ერთხელ მრუდედ წასული ნერგის გასწორება ძნელია. ხშირად კი – შეუძლებელიც.

ზემოთქმული კარგად უწყიან სოფიკო ჭიაურელის სახელობის თბილისის 54-ე საჯარო სკოლაში. მისი დირექტორის, ქალბატონ **ქეთევან ჩოქურის** თქმით, სკოლა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა და, ამდენად, ცოდნასთან ერთად ყმაწვილები ზნეობრივ-მორალურად ჯანსაღნიც უნდა აღიზარდონ. იგი ამას ქცევის შიდასასკოლო კულტურას უწოდებს. მაგრამ „ცდება“ – ეს „შიდა“ მყისვე „გარეკულტურად“ გარდაიქმნება – სკოლაში შეძენილ ზნეობრივ ნორმებს აღსაზრდელები სასწავლებლის კედლებს მიღმა გაიტანენ და მთელი ცხოვრებასაც პატიოსნად, მოყვასის სიყვარულით გალევენ.

აღსაზრდელები რომ სწორ კალაპოტში ჩააყენო და ბოლომდე – სკოლის დამთავრებამდე – გამართულად ატარო მორალისა და ეთიკის გზაზე, ყოველი მათგანის სულსა და გულს უნდა ჩასწვდე, საამოსოდ კი ჯერ მათი ნდობა მოიპოვო. მოიპოვო, უპირველესად, პირადი მაგალითით. 54-ე სკოლის პედაგოგთა კოლექტივის ძალისხმევა სწორედ აქეთაა მიმართული, მაგრამ ეს თვითმიზანი როდია. ასე ვერაფერს მიაღწევ. ეს მათი შეგნებიდან ამომავალ შინაგან მრწამსზე დაფუძნებული ბუნებრივი ქცევაა, რასაც უმალ ატყობენ და აფასებენ ყმაწვილები. ბავშვები ხომ მყისვე გრძნობენ სიყალბეს.

თუ ბავშვებად არ გარდაიქმნებით, ვერ მიაღწევთ ცათა სასუფეველსო, გვმოძღვრავს უფალი. და პედაგოგები ცდილობენ აღსაზრდელთა თვალით შეხედონ სამყაროს, მათი სიხარულითა და ტკივილით იცხოვრონ, ერთდროულად აღმზრდელებიც იყვნენ და მეგობრებიც.

ზემოთ ვთქვი, ყოველი მათგანის სულსა და გულს უნდა ჩაწვდე, რომ თანაგრძნობის, თანალმობის, ურთიერთსიყვარულის გრძნობები არათუ ჩაუნერგო მოსწავლეს, არამედ ეს თვისებები მისი არსების განუყოფელი ნაწილი გახდეს. აქეთკენ მიმავალი მრავალი ბილიკია და 54-ე სკოლის პედაგოგთა კოლექტივი მიმართავს მათ, რათა „შესართავში“ უმთავრეს მიზანს – ლასელები გაკვეთილებს უტარებენ – უმცროსებს, მათ გუნდურ თამაშებს „მსაჯობენ“ და თავადაც ერთვებიან. ყალიბდება სოლიდარობა, უმცროსების, სუსტების დაცვის შეგნება. სკოლის ეზოში აღმართულ მემორიალთან აღინიშნება **ჟიული შარტავას,** ჟურნალისტ **დავით ბოლქვაძის;** ამ სკოლის აღსაზრდელების: **არჩილ მიშველაძის, პავლე გიორგობიანის, ვაჟა სიჭინავას** ხსოვნის დღეები.

ხომ კარგად აღუზრდია სკოლას!

ყმაწვილები რწმუნდებიან, რომ სამშობლოს გმირები ცოტა ხნის წინათაც ჰყოლიათ, რომ, თუ სამშობლოს დასჭირდა, კვლავაც გამოჩნდებიან, ვინც უყოყმანოდ განირავს თავს ქვეყნისთვის, ყოველი მათგანის კეთილდღეობისთვის და ეს მძლავრი ზნეობრივი მაგალითი ასევე ძალუმად ზემოქმედებს ყმაწვილების სულსა და გულზე. „ჩოხოსანთა კავშირი“, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა კავშირი, თსუ-ის ჰუმანიტარული სკოლა, შავი ზღვისა და გალობის უნივერსიტეტი... შეხვედრები გამოჩენილ

პიროვნებებთან. ეს კავშირები და შეხვედრები, რაც მუდმივად მიზანმიმართულად, შემოქმედებითად, აღსაზრდელთა აღქმისა და ასაკობრივი თავისებურებების სრული გათვალისწინებით წარიმართება, კავშირი მშობლებთან, ერთობლივი მუშაობა მათთან და მრავალი სხვა, თუნდაც, მოსწავლე **ანა კორძაიას** გამარჯვება **რეზო თაბუკაშვილის** შემოქმედების წარმოჩენაში, სწორედ ის ზემონახსენები ბილიკებია შეერთებული, ერთიანი ძალით რომ უყალიბებენ 54-ე სკოლის აღსაზრდელებს ზნეობასა და მორალს, მოყვასის სიყვარულსა და თანადგომას.

კოტე ოდიშელიძე

P. S. პედაგოგთა კოლექტივის ინიციატივით, ქალაქის საკრებულოსა და განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2016 წელს 54-ე საჯარო სკოლას **სოფიკო ჭიაურელის** სახელი მიენიჭა. ეს სკოლა პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქალთა სკოლის სამართალმემკვიდრეა. ცნობილმა მსახიობმა, თავის დროზე, სწორედ ის სკოლა დაამთავრა და, ამდენად, 54-ე სკოლისთვის მისი სახელის მინიჭება კანონზომიერიცაა. სკოლა ამაყობს ამით. დიდი მსახიობის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას მუდმივი შიდასასკოლო პროექტით – **„ჩემი სოფიკო ჭიაურელით“** გამოხატავენ.

ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ 150-Ე ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲨᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲛᲐᲨ-ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

150-ე ბაგა-ბაღი თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, სოლოლაკში მდებარეობს, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა. ბაღს ისეთ დროს ვესტუმრე, როცა **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფებში, ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ დაგეგმილ, პირველი ივნისის კონცერტისათვის სამზადისი მიმდინარეობდა. დირექტორი **მზია მეტრეველი** და ფოლკლორისტი **ნანა გურგენიძე**, საგულდაგულოდ არჩევდნენ სიმღერის რეპერტუარს, რომელიც აუდიო-ვიდეო სახით უნდა გაუგზავნონ სააგენტოს, რათა კონცერტისთვის საუკეთესო ნომრები შეარჩიონ. ცუგრუმელებმა, **ნანა გურგენიძესთან** ერთად, შესანიშნავად შეასრულეს ქართული საბავშვო

სიმღერები: **„რამ შეჭამა ვენახი“, „საფერხულო“, „საჭიდაო“, „ბახტრიონიდან გიცქერთ“** და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 150-ე ბაგა-ბაღში **„სასკოლო მზაობის პროგრამა“** წარმატებით ხორციელდება და ბავშვებიც შესანიშნავად არიან მომზადებულები. ბაღის ხელმძღვანელის ინიციატივით, პატარებს ესაუბრებიან ქართულ ფოლკლორზე, ზეპირსიტყვი-ერებაზე, ეროვნულ ფასეულობებსა და ტრადიციებზე. აღსაზრდელებს უყალიბებენ უნარ-ჩვევებს და ასწავლიან ზრდილობას, უფროსებთან ურთიერთობას, წინაპრების პატივისცემას, ისტორიის დაფასებას და სამშობლოს სიყვარულს. ბავშვებს ესაუბრებიან ეთიკაზე, გარემოს დაცვაზე და ეკოლოგიაზე. ბაგა-ბაღის შიდა

ინტერიერი საინტერესოდ არის გაფორმებული. ფოიე დამშვენებულია ნახატებით, ფოტოებით, ყვავილებით და აკვარიუმით. აქვეა ბაღის შიდა განაწესი, მშობელთა კუთხე, კვების განრიგი, საგანმანათლებლო კალენდარი და ა.შ. ფუნქციონირებს მშობელთა კლუბი, სადაც ერთობლივად განიხილება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ბაღი მუშაობს გუნდური პრინციპით და ხშირად ეწყობა თანამშრომლების შიდა ტრენინგი,

– ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება-აი, რა არის აქ მთავარი.

დირექტორმა მეგზურობა გამიწია და ბაღის თითოეული კუთხე-კუნჭული დამათვალიერებინა და შეიძლება ითქვას, შიდა სამზარეულოში ჩამახედა. აქ ყველგან იდეალური სადაც მუშავდება სწავლების მეთოდიკა, ყოველი სიახლე და მეცადინეობა თითოეულ ბავშვზეა მორგებული. შემეცნებითი განვითარების თემატიკა კი მრავალფეროვანია. ნებისმიერ თემას ღრმად და საფუძვლიანად ეცნობიან. დიდი ყურადრება ექცევა შემოქმედებითი უნარების და ბავშვების ხელოვნებისადმი სიყვარულის განვითარებას. ხშირად ეწყობა ზეიმები და სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობები. ცუგრულმელებმა, ეკოლოგიის დღესთან დაკავშირებით, აღმზრდელებთან ერთად ბაღის ეზოში სხვადასხვა ყვავილები დარგეს. ეწყობა თემატური შეხვედრები, სპორტული ღონისძიებები, ფუნქციონირებს „თოჯინების თეატრი“. ბავშვების მონაწილეობით იდგმება საინტერესო სპექტაკლები, რომლის სცენარი საგანგებოდ მზადდება, მეთოდისტის და დირექტორის ერთობლივი ძალისხმევით.

ნინო ზაუტაშვილი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი: **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფში ვატარებთ სხვადასხვა აქტივობებს და შემოქმედებით ღონისძიებებს. გარემოს დაცვის წიგნის მიხედვით ვხელმძღვანელობთ და პატარებს ძალიან მოსწონთ ეს პროგრამა, ბიო მრავალფეროვნება, მცენარეების დარგვის პროცესი., შრომითი გაკვეთილები, ხატვა ძერწვა და ა.შ.

მარიამ გვილავა, ფსრიქოლოგი: ბაღში გვყავს შვიდი განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი. კონკრეტული გეგმა ინდუვიდუალურად არის მორგებული თითოეული აღნიშნული საჭიროების აღსაზრდელზე და გაწერილია სხვადასხვა აქტივობებზე – მიზნის შესაბამისად. იგი ძირითადად, მოტორიკის და

შემეცნებითი სფეროს განვითარებაზეა ორიენტირებული. ასევე არსებული **„მშობელთა კლუბი“** აქტიურად მუშაობს და ხელს გვიწყობს საქმიანობაში.

თეა ბულაური, ლოგოპედი: ზოგს აქვს მეტყველების პრობლემა. აქ ძირითადად, თამაშ-თამაშით ვითარდებიან ბავშვები. კარგი შედეგები გვაქვს. აქტიურად ვმუშაობთ მშობლებთან, პატარებს ვუმოწმებთ სმენას, მხედველობას, მოტორიკას, ფიზიკურ მონაცემებს. კოორდინირებულად ვმუშაობთ როგორც ფსიქოლოგთან, ასევე მეთოდისტათან, მშობელთან და აღმზრდელთან. ინდივიდუალურად ვმუშაობთ, ასევე აუტის-

გაგრძელება მე-8 გვ.

პატარები თამაშ-თამაშით სწავლობენ და ვითარდებიან

დასაწყისი მე-7 გვ.

ტური სპექტრის პატარებთან. რომლებთანაც ფაქიზად და განსაკუთრებული სიფრთხილით ვმუშაობთ.

150-ე ბაგა-ბაღში პატარები თავს ოჯახურ გარემოში გრძნობენ. ეზო გამწვანებული და მოპირკეთებულია. დამონტაჟებულია სათამაშოები და ატრაქციონები. უახლოეს მომავალში ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით, იგეგმება ეზოს კიდევ უფრო გალამაზება, მოპირკეთება, შენობის გარე ფასადის განახლება, რასაც აქაური მესვეურები მოუთმენლად ელოდებიან. რაც შეეხება

შიდა ინტერიერს, დერეფნები და ოთახები მორთულია ნახატებით, პატარებისა და მათი აღმზრდელების ერთობლივი ნამუშევრებით. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და საბავშვო ლიტერატურით. მშობლები და უბნის მაცხოვრებლები გახარებულები არიან, ასეთი შესანიშნავი პირობებით. უდიდესი ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ბაღი მაღალკვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. სიახლეებს ფეხს უწყობენ და სისტემატურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. განსაკუთრებით ზრუნავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარებზე. სიახლეა ის, რომ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების და ანალიზის საფუძველზე ხდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა.

ვინ არ ინატრებდა მზია მეტრეველისნაირ ხელმძღვანელს, რომელიც დედასავით ზრუნავს არამარტო აღსაზრდელებზე, არამედ ბაღის თითოეულ თანამშრომელზე. ქალბატონი მზია განათლებული და ერუდირებული პიროვნებაა. საბავშვო ბაღი მისი მეორე ოჯახია და საკუთარი შვილივით უყვარს თითოეული აღსაზრდელი. იგი, ყოველ დილით, ბაღის შესასვლელში ეგებება თითოეულ პატარას და დიდ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს მათ მიმართ. მისთვის უმთავრესია წესრიგი და დისციპლინა და ამასვე მოითხოვს თანამშრომლებისგანაც. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არამარტო თავის თანამშრომლებში, არამედ მთელ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. იგი, 2007 წლიდან ჩაუდგა ბაღს და ამ ხნის მანძილზე, ბაღი ააღორძინა და რაც მთავარია, მას შენობა შეუნარჩუნა და პოპულარობა მოუპოვა.

ქალბატონ მზიას საკმაოდ მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფია აქვს. თავდაპირველად, იგი თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურში, დედაქალაქის კულტურული ძეგლების ექსკურსიამძღოლად მუშაობდა, შემდეგ, კულტურის სამინისტროში, საბაჟო დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსი იყო; ერთი პეროდი 53-ე სკოლაშიც მოღვაწეობდა, მოგვიანებით კი, გახლდათ დედაქალაქის საკრებულოს წევრი. საკუთარი სურვილით კარიერა და ბედი მომავალი თაობის აღზრდას დაუკავშირა.

მზია მეტრეველი: ჩემი გადაწყვეტილება საკრებულოდან წამოსვლის შესახებ ყველასთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ვფიქრობ სწორი არჩევანი გავაკეთე. მიმაჩნია, რომ ახლა ყველაზე სერიოზული თანამდებობა მიკავია, რაც კი ოდესმე მქონია. ბავშვები ძალიან მიყვარს. აქ დამხვდა გარემო რომლის მოწესრიგებას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს განვითარება და ქვეყანაში ძირეული გარდატეხა სწორედ, საბავშვო დაწესებულებებიდან უნდა დაიწყოს. მიხარია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ბაგა-ბაღების მიმართ სწორად არის ჩამოყალიბებული, დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო აღმზრდელობით დაწესებულებებს და შესანიშნავად მუშაობს ბაგა-ბაღების სააგენტო. კმაყოფილი ვართ სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მუშაობის სტილით, რომელმაც უფრო გამჭვირვალე გახადა ფინანსური ბიუჯეტი, აგრძელებს ახალი ბაღების მშენებლობას, რეფორმებს და სიახლეების დანერგვას. მიხარია, რომ ბაღში მიმდინარეობს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროცესი. კარგი საკადრო პოლიტიკა გვაქვს. ჩვენი ბაღი ძალიან პოპულარულია. ჩვენი აღზრდილები ძირითადად, პირველ გიმნაზიაში და 47-ე სკოლაში სწავლობენ, საიდანაც დიდ შექებას და მადლობის წერილებს ვიღებთ. აქ ბევრი ღირსეული მამულიშვილი და ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები დაფრთიანდნენ. წელს სკოლაში 72 ბავშვს გავაცილებთ. ჩავატარეთ არაერთი საინტერესო ღონისძიება. გვყავს ძალიან კარგი მეთოდისტი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია და ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ პატარასთან. ბაღში გვაქვს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ლიტერატურით. ასევე, დიდი ყურადღება ექცევა პატარების ხელოვნებისადმი სიყვარულის განვითარებას, მუსიკალურ განათლებას, გვაქვს სხვადასხვა მუსიკალური საკრავები და მუსიკის პედაგოგი **ხათუნა გილაური** შესანიშნავად უძღვება საქმეს. საერთოდ, თანამშრომლების მიმართ მომთხოვნი ვარ, მინდა ყველამ თანაბრად აიღოს პასუხისმგებლობა და გულით აკეთონ თავიანთი საქმე. მაქსიმალურად ვიხარჯები და იგივეს მოვითხოვ სხვებისგანაც.

კვება უმაღლეს დონეზეა, სადაც დაცულია ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ბავშვებს გემრიელ კერძებს უმზადებენ **ლალი მინდიაშვილი** და **ელზა აბშილავა**. დირექტორი კმაყოფილია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **თამუნა მახარაძის** და ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის **ფიქრია ჩირაძის**, საქმისმწარმოებლის **ლელა მაისურაძის** საქმიანობით. დასაფასებელია ტექნიკური პერსონალის შრომაც. **მანონი მარკოზია, მაკა ბუზარიაშვილი, ლელა გელაძე, დალი ცქიფურიშვილი, მარინა სულაძე, იოსებ ჭილაშვილი** და **ავთანდილ ტაბატაძე** ქებას იმსახურებენ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ტრადიციების დაცვას. დირექტორის გადაწყვეტილებით, აქაურ მესვეურებს დღემდე აქვთ კონტაქტი ყოფილ თანამშრომლებთან, რომელთა ღვაწლს არ ივიწყებენ.

გადაჭარბების გარეშე უნდა ვთქვათ ბაღს ერთი შეხედვითაც ეტყობა კარგი მენეჯერის და ორგანიზატორის ხელი. აქ უმთავრესია დისციპლინა, წესრიგი, საქმისადმი თავდადება და ბავშვების სიყვარული. იშვიათად შემხვედრია ასეთი მოტივირებული და საქმეზე უზომოდ შეყვარებული ხელმძღვანელი როგორიც **მზია მეტრეველია**. მისი მსჯელობა, ბავშვებთან ურთიერთობის სტილი, მეთოდიკა, სხვების პატივისცემა და ეროვნული სულისკვეთება ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებისთვის მისაბაძი უნდა იყოს. აქ საქართველოს ხვალინდელი დღე – ახალი ცხოვრების მშენებელი მომავალი თაობა ფრთიანდება.

მზია გოგოძე

გამარჯობა, 22-ე ბაგა-ბაღელებო!

აქ ყველაფერი საუკეთესო პატარებისთვისაა



მაისის საოცრად მშვენიერი დილა იყო, როცა თბილისის 22-ე ბაგა-ბაღს ვეწვიე. თითქოს, ჩემს შესახვედრად გამოფენილიყვნენ ეზოში თვალხატულა გოგო-ბიჭები. მწვანეში ჩაფლული სათამაშო მოედანი, სასრიალო ატრაქციონები თუ საქანელები, დაწკრიალებული ეზო-გარემო და სისუფთავე შესვლისთანავე თვალშისაცემი იყო, გემოვნებით მოწყობილ დერეფანში ბავშვთა ნამუშევრებიც გამოეფინათ. დირექტორი **ნინო გვრიტიშვილი** პროფესიით სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალისტია, წლებია პატარებთან მუშაობს და ზედმიწევნით კარგად იცის, როგორ გაულამაზოს მათ ცხოვრება.

2016 წლის იანვრიდან, მას შემდეგ, რაც იგი ამ ბაღში დაინიშნა, ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო მოწესრიგდა, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ყველა ჯგუფში სველ წერტილებში, სამზარეულოში, გაკეთდა პანდუსი, გალამაზდა ეზო, რისთვისაც ბაგა-ბაღების მართვის საგენტოს მადლიერები არიან.

ყველაზე მთავარი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესია და ბავშვამდე სწორად მიტანილი აღზრდის მეთოდებისა და აქტივობების წყალობით, ბაღში შესაფერისი სივრცე-გარემოა შექმნილი. სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც სახლისა და სკოლის დამაკავშირებელი რგოლია, ბავშვებს საჭირო უნარებ-ჩვევებისა და სწავლისადმი პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებაში ეხმარება. მზაობის ჯგუფების აღმზრდელები – **თეა ორჯონიკიძე, ნანული ძებისაშვილი, თამარ სალუქვაძე** და **ნელი მეგრელიშვილი,** წარმატებით ახორციელებენ ბავშვზე ორიენტირებულ საგაკვეთილო თუ სათამაშო პროცესში პატარების ჩართულობას. ხალისიანი და მრავალფეროვანია ყოველი დღე, რომელზეც ზრუნავენ აღმზრდელები: **გულნაზ კიკნაძე, მზია ვაზაგაშვილი, ირინე მაისურაძე, თინათინ სავაძე, ნინო მაისურაძე, თამარ სინატაშვილი, ანა საბაძე, შორენა ენუქიძე;**

კარგად ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას გამოცდილი, კომუნიკაბელური აღმზრდელის თანაშემწეები, **მამულაშვილი**. ჯგუფები დაყოფილია სივრცეებად, რომლებიც ბავშვის სენსორული, კოგნიტური, მოტორული და კრეატიული უნარების განვითარებისთვის არის საჭირო: მათემატიკური, ხელოვნების, დრამატული, მეცნიერების... დილის წრის შემდეგ, განიხილავენ დღის თემას, მაგალითად, პროფესიები, ან კულინარია, სადაც ბავშვებმა ისწავლეს, როგორ კეთდება ხინკალი, მოაწყვეს სამზარეულო, დათესეს ჯეჯილი; საინტერესოდ ჩატარდა აქტივობები: **„დედის დღე,“ „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“** და სხვა.

მულტიჯგუფი დაკვირვებას ახდენს განსაკუთრებული საჭიროების ბავშვებზე და სპეც/პედაგოგ **ქეთევან აკოფაშვილთან** ერთად, სწავლობენ მათ ქცევას კონკრეტულ გარემოში, გეგმავენ პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებს. თითოეულ აღსაზრდელთან ინდივიდუალურად, თუ ჯგუფურ გარემოში მუშაობს ფსიქოლოგი **ეკა თხლაშიძე,** რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობს აღმზრდელებსა და აღმზრდელის თანაშემწეებთან. ტესტობრივ მასალაზე, ენისგასატეხებსა და ფოტოებზე დაყრდნობით, ლოგოპედი **ნანული გეგუჩაძე** განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სუნთქვით და საარტიკულაციო ვარჯიშებს, რომლებსაც ხშირად თამაშების სახით ატარებს: **„ქარიშხალი,“ „ფოთოლცვენა,“„ფეხბურთი“** და სხვა.

საგანმანათლებლო თემებთან ინტეგრირებულ დღის აქტივობებს წარმართავენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ნათელა ჩაჩიბაია, ქეთევან ხვედელიძე** და **ნათია ჭიაბერაშვილი,** რომლებიც შემდგომში სხვადასხვა ზეიმისა თუ ღონისძიების წარმატების საფუძველი ხდება და ცეკვასა და სიმღერაში ამ ბავშვებს ბადალი რომ არ ჰყავთ, სწორედ მათი დამსახურებაა.

ბაგა-ბაღში უზრუნველყოფილია საკვები პროდუქტების შენახვისა და დამზადების უსაფრთხოება, თვალსაჩინოდ, ორ ადგილას გამოკრულია მენიუ, რომელსაც მშობელი ყოველდღიურად ეცნობა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სამზარეულოში, მზარეული **მაია ამირანაშვილი** და მზარეულის დამხმარეები – **ნანა მამაცაშვილი, ოლღა ლეშკაშელი** და **მერი კოკაია** პატარებს საუკეთესო ხარისხის პროდუქტისგან დამზადებული უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებიან.

აღსაზრდელების ჯანმრთელობისა და ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის ყოველდღიურად ზრუნავენ ჯანდაცვისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – **ელენე არღვლიანი** და **ნათელა დარსაველიძე**; ასევე, ტექნიკური პერსონალი, რომელთა შრომის შედეგი ეტყობა დაწკრიალებულ ჯგუფებსა და დერეფნებს, სველ წერტილებსა და ეზო-გარემოს, გაქათქათებულ თეთრეულს, სათამაშოებსა და ოთახის სხვა მოწყობილობებს. ესენი არიან: **თამარ სურამლიშვილი, ჯულიეტა ლობჯანიძე, ნინო არჩვაძე, მანანა სიხარულიძე, მანანა ბერიანიძე, ნანა ბოკუჩავა, მარინე აბაშიძე, ევგენია მალხასიანი** (დამლაგებლები); **ეკა ლალაშვილი, ლუბა სამხარაძე, მანანა ჯლანტიაშვილი, ეკა ბარნაბიშვილი, ელენე ბურდული, მაკა მგელაძე, ნინო შონია** (მრეცხავები); **ლალი ანდრიაძე** (მეეზოვე); **თეიმურაზ ავდოიანი** და **მალხაზ სურამლიშვილი** (დარაჯები); **ბესიკ ჭიჭინაძე** (მუშა); **მიხეილ ბაინდური** (მებაღე).

ეს არის ბაგა-ბაღი, სადაც აღსაზრდელების განვითარებაზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი. აღმზრდელები პატივს სცემენ პატარების აზრს, აძლევენ არჩევანის თავისუფლებას და ბავშვის ინტერესზე მორგებულ აქტივობებს ახორციელებენ. ამჟამად, დიდი მონდომებით ემზადებიან საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, **26 მაისისადმი** მიძღვნილი ღონისძიებისთვის, რომელიც ეზოში გაიმართება, მოისმენენ საქართველოს ჰიმნს, თავადაც დახატავენ დროშებს და მორთავენ ბურთებით. იმედი გვაქვს, კარგად ჩაივლის ბავშვთა დაცვის დღის, 1 ივნისისადმი მიძღვნილი ღონისძიებაც, რადგან აქ, შემოქმედი დირექტორის ფანტაზიის წყალობით, ცხოვრება ხალისიანად მიდის.

ნათია გურგენიძე

ლიტერატურული კუთხე

თემები ნაირ-ნაირად ვინ მოვვანოდა? – ნაირამ

აქ სულ ერთი ციდა ლექსებია, თემატიკურად მრავალსახა, სხარტულასავით მოჭრილი. ახალი კუთხით წარმოგვიდგა პოეტი ნაირა ნიჟარაძე. აი, დღევანდელობის სუნთქვა და სატკივარი: დაცარიელებული სოფლები, გამრავლების შეფერხება, მხრებში დაჭრილი ბუნება, მისი მოვლა-პატრონობა... მაგრამ ოპტიმისტური მუხტიც ფეთქავს, ბუნების საოცრებაც ელავს, ეკლესიური სწავლებაც სახეზეა, იუმორი? ის ჩვენი სასიცოცხლო იუმორიც ღვივის. აი, თუნდაც: „არ იყიდება ჩვენი წიგნები, ხალხს პურის ფული გასჭირვებია და უცხოეთში გარბის ყოველი, შინ დარჩენილა მხოლოდ ბებია“. მწარე სინამდვილეა, მწარე! სხვა ბევრიც რამეა ახალი და საინტერესო ამ მიკროლექსებში.

რედაქტორი

ნაირა ნიჟარაძე

***

ეპიგრამები

ქალი და პოეტი

დიდ ლორდ ბაირონს შეჰყვარებია,
ქართველი ქალი ტყვეთა ბაზარზე,
ღმერთო, გვაშორე ქართველს მონობა,
თავისუფლებით ტკბობა გვაცალე!

ველი გაშლილი

მიქრის მანქანა, ველი გაშლილა,
უარი ავდარს, მინდა იდაროს,
მაგრამ ეს რას ჰგავს? პურ-ქერის ნაცვლად.
ბალახ-ბულახით ყვავის მიდამო?!

ცარიელია მინდვრები

რა ვქნა, გულს მიკლავს უკაცრიელი
სოფლის მინდვრები სივრცით და განით,
მე მინდა იყოს ჩვენი მთა-ველი,
სავსე სიმინდის შრიალა ყანით!

გამოიზამთრეს

ბარში მოვიდნენ მწყემსები ჩვენთან,
ამ ზამთარს ისევ თქვენთან ვიქნებით,
გამოიზამთრეს, ახლა მიდიან,
გამრავლებული ბატკან-თიკნებით.

გამოვიყენოთ ოქროს მიწა

სოფელში – ვაზი, ქალაქში – ვაზი,
ყველგან დავრგე და ყველგან ვახარე,
ოქროს მიწაა, ოქროს ნაყოფი,
დავახვევინე ყველგან საყანე!

მწარე სინამდვილე

არ იყიდება ჩვენი წიგნები,
ხალხს პურის ფული გასჭირვებია
და უცხოეთში გარბის ყოველი,
შინ დარჩენილა მხოლოდ ბებია.

აღარ იტირო

– თუ გაიღვიძო, ვერ დამინახო,
ჩემო პატარავ, აღარ იტირო,
თქვი: კარგი იყო, ძალზე ვუყვარდი,
დაიღალა და ახლა იძინოს!

მაჯობა

საქართველოს სჭირდება,
თურმე ვიყავ ჩერჩეტი,
ძაღლმა როგორ მაჯობა,
გააჩინა თერთმეტი!

სამწუხაროდ

მეზობლებს ვერ ვხედავ,
– სად არის მაია?
თურქეთში წავიდა,
აქ აღარ არიან.
სად არის ნარგიზი?
არავინ არ იცის,
ეძებენ სამსახურს,
აქ იგი ვერ ჩანს
ამ ჩვენს სოფელს კი
კაციშვილი არ შერჩა.

უცხოელმა თქვა

ნორვეგიელმა კნუტ სამსუნმა,
ნობელის პრემიის მთაზე ასულმა,
შექმნა პიესა „თამარ მეფე“ აღმოხდა გულით:
მაშინ იყოო საქართველო გაბრწყინებული!

როდის?

ეს ვინ გაბედა, ვინ იყო თავხედი,
თვალებდახრილი რატომ ჩანს ქარხნები?
– ჩემო ქვეყანავ, როდის აღსდგები?
როს გამოფხიზლდები და განახლდები?

ქრისტიანული სწავლანი

გვიყვარს წიგნი და ანბანი,
შორს უვიცობა, სიყრუე!
არ გვეკადრება ქართველებს,
არც მტრობა, არცა სიცრუე!

მტკვარში, არაგვში, რიონში,
შენ შეგიძლია იცრუო?
არაკ აც-კლა და იპარო,
და არც იმრუშო, იცრუო!..

სიგარეტი

– რა გირჩიო ამის მეტი,
გადააგდე სიგარეტი,
წამლავს ფილტვებს,
შენ გგონია,
თითქოს იყო სიზმარეთში.

რჩევა მგოსანს

– წერე, იკითხე, მგოსანო,
ვიცი, ბევრი გაქვს ხარჯები,
თუ მიწას არ მოუარე,
მუდამ მშიერი დარჩები?..

ფაროსანაც ჩვენი მტერია

რა მწერია ფაროსანა?
გადაჭამა მთა და მდელო,
მოსპო ყანა, მოსპო თხილი,
შეაწუხა საქართველო.
მოასხურეს საწამლავი,
გახდა ავი სანახავი.

გასწორება

თბილისის 72-ე საჯარო სკოლის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილ წერილში („სახალხო განათლება+“ N8, 9.5.2018) გაიპარა ტექნიკური ხარვეზები.

გამორჩენილია „სკოლაში ირიცხება 1514 მოსწავლე, ქართულ სექტორზე – 1004, რუსულზე – 510... მოღვაწეობს 94 პედაგოგი. აქედან 42 უფროსი მასწავლებელია, 52 – პრაქტიკოსი“.

„დაარსებიდან 2005 წლამდე სკოლა იყო რუსული, 2006 წელს გაიხსნა ქართული სექტორი. პირველი ქართული კლასის ხელმძღვანელი იყო მანანა დვალიშვილი“, წამყვანი მასწავლებელი **ანა ფურცელაძე** არაშესატყვის კონტექსტშია ნახსენები – 30 და მეტი წლის მანძილზე ნაღვაწ, ხანდაზმულ პედაგოგთა რიგებში.

სადღეისო სალაღობო საკითხავი

ჟოდიფიცირებული ქოჩორი

რა ჯობია ლამაზ ქოჩორს! ნიკას მშვენიერი ქოჩორი ძალიან უხდებოდა. ქოჩორი ყველას ამშვენებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნება ბევრს ჭაბუკობაში ამელოტებს. ქაჩლები თმის კომპენსაციას წვერ-ულვაშის მოშვებით ახდენენ. ბევრს მღვდელივით მოუშვია, ზოგი ნიკაპნალმოკრულს ჰგავს, ზოგიერთი ოჩოკოჩივით დადის. – აი, რა ყოფილა მოდაო! – წამოიძახა ნიკამ და... ორ თვეში უკვე თავმოტვლეპილი და წვერულვაშგაბურძგნული დადიოდა რუსთაველზე.

ცოტა რომ მიიხედ-მოიხედა, ნახა, ზოგიერთ მამაკაცს გრძელი თმები ქალის ნაწნავივით ჰქონდა შეკრული. ავჩქარდიო, – ინანა ნიკამ, რომ მშვენიერი ქოჩორი მოვიშორეო.

***

გვეშველება რამე?

დღეს ბევრი გაიძახის: გვეშველება რამე! შეგონება: კაცი იხრჩობა, ყვირის: გვიშველე ღმერთო! ციდან რეკვასავით ჩამოესმა: ხელები გაანძრიე და გეშველებაო!

***

მოდა მუდმივი და გარდამავალი

ათი წლის წინათ საშინლად მოდებული მოდა-ქალებისგან (ხანდაზმულებისგანაც) მუცელ-ჭიპის გამოჩენა, როგორც იქნა, დავიწყებას მიეცა. მაგრამ – მეორე? იგი დღეს უფრო მოდებულია. ინგამ დაინახა: მისი ტოლები (გათხოვილებიც) მუხლებთან გამობდღვნილი შარვლებით დასეირნობდნენ (ზამთარშიც კი).

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, – თქვა ინგამ და ახალნაყიდ შარვალს მუხლებთან გამოგლეჯვა დაუწყო. რომ მორჩა, ისევ თქვა: თხა თხაზე უკეთესი უნდა იყოსო და მუხლის ზემოთაც გამოგლიჯა. გაისეირნა. მესამე დღეს ნახა: ვიღაცას მუხლის ზემოთ მესამე სიშიშვლე გამოუჩენია. ისევ წამოიძახა: თხა თხაზე უკეთესი უნდა იყოსო და ზემოთ მეოთხე სიშიშვლე გამოაჩინა.

კიდევ მაღლა წასვლა უნდოდა, მაგრამ ამის ზემოთ იწყებოდა ის, რისი გამოჩენაც ჯერჯერობით უხერხულია. არ გაიცინოთ!

ინგასნაირების მოდიფიკაციას შეიძლება გაგებით მოვეკიდოთ, რადგანაც ტიტველი ქალის ნატიფი სხეული მუდამ იყო გენიოს ხელოვანთა მუზის შთაგონების წყარო. მაგრამ, მამაკაცებო, გაუგებარია თქვენი მოტივაცია: მართლა გგონიათ, თქვენი ბანჯგვლიანი მუხლების გამოფენით ვინმეს გააკვირვებთ ან მოხიბლავთ?

***

საქმე, რომელიც გვეჩოთირება

ჩვენ თბილისი, რომ არ გვსურდა, ისე გაგვიინგლისურდა.

მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N9 (4568)
23 მაისი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009